სამხედრო სავალდებულო სამსახურის პერსპექტივები და გამოწვევები: საქართველოს შემთხვევა

გიორგი ელიაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ივანე ოქრომჭედლიშვილი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ელიაური

15.06.2023

აბსტრაქტი

საქართველოში სამხედრო სავალდებულო სამსახურთან დაკავშირებული საკითხები მუდმივად დგას დღის წესრიგში. დღემდე მიმდინარეობს დავა მის სავალდებულო ხასიათზე. ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად დაუსრულებელი დილემისა, სახელმწიფო მხარს უჭერს მის არსებობას და გამოყოფს მას, როგორც ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას, რადგან სწორედ ძლიერი სამხედრო სამსახური განაპირობებს და არის ქვეყნის ერთიანობისა და სოციალური ინტეგრირების მთავარი ინდიკატორი. შესაბამისად, ძლიერი სამხედრო სამსახურის ჩამოსაყალიბებლად სწორედ მასთან დაკავშირებული გამოწვევების შესწავლა და შემდგომ დაძლევა არის ქვეყნის უმთავრესი ამოცანა. ნაშრომში გაეცნობით სამხედრო სავალდებულო სამსახურის მნიშვნელობას და აქტუალობას, საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა ქვეყნების გამოცდილებას, საქართველოში დღესდღეობით არსებულ გამოწვევებს. ნაშრომი აფასებს მიმდინარე პრობლემებს და ხსნის ამ პრობლემების გამომწვევ შესაძლო მიზეზებს. აღნიშნულის მისაღწევად გამოყენებულ იქნა თვისებრივი მეთოდოლოგიის სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების მეთოდი შესაბამის ჩართულ და დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა ჯარისკაცები, სერჟანტ-ოფიცრები, სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამოქალაქო სექტორში დასაქმებული პირები. შესაბამისად, აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანია თემით დაინტერესებული პირებისთვის და ამავე დროს, უნდა დაეხმაროს სახელმწიფო სტრუქტურებს არსებულ პრობლემებზე საპასუხოდ სამომავლო ნაბიჯების გადადგმაში.

საკვანძო სიტყვები: სამხედრო სავალდებულო სამსახური, ჯარი, ჯარისკაცები, გაწვევა

Abstract

In Georgia, issues related to mandatory military service are constantly on the agenda. To this day, there is a dispute about its mandatory nature. In any case, despite the endless dilemma, the state supports its existence and singles it out as one of the priority directions, because the strong military service determines and is the main indicator of the country's unity and social integration. Therefore, in order to establish a strong military service, the study and subsequent overcoming of the challenges related to it is the main task of the country. In the paper, you will learn about the importance and relevance of mandatory military service, international practice and the experience of other countries, and the challenges that exist in Georgia today. The paper assesses the current problems and explains the possible causes of these problems. In order to achieve this, the method of in-depth interviews and focus groups of qualitative methodology was used with relevant involved and interested parties, such as soldiers, sergeant-officers, people employed in the state structures and civil sector. Therefore, the mentioned research is important for those interested in the topic and at the same time, it should help the state structures to take future steps in response to the existing problems.

Key words: Mandatory military service, Army, Soldier, Conscription